საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანა რატიანი

არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საკითხების შემუშავება ეროვნული პარკების სისტემის ჩამოყალიბებაში

სადოქტორო პროგრამა - არქიტექტურა

შიფრი - 1101

არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2022 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: _____ ასოც. პროფესორი - ნუგზარ ხვედელიანი

რეცენზენტი: პროფესორი - მარიკა ფოჩხუა

ასოც. პროფესორი - ზვიად ბურჭულაძე

(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობის ჯგუფის ხელმძღვანელი)

დაცვა შედგება 2022 წლის "19"ივლისს", 14:00 საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე

კორპუსი I, აუდიტორია 405ც

მისამართი: 0160, თბილისი, კოსატავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი ----------

არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საკითხების შემუშავება ეროვნული პარკების სისტემის ჩამოყალიბებაში

რეზიუმე

დაცული ტერიტორიების, კერძოდ კი ეროვნული პარკების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. როგორც წესი, მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აკისრიათ- კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, სუფთა წყლისა და ჰაერის მიწოდება, მეცნიერების განვითარება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ფუნქციები, რომლებიც მოიცავს ისეთი საკითხების შემუშავებას როგორიცაა ბუნებისა და კონსერვაციის მეთოდების შემუშავება, ქვეყნის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე და სხვ.

ეს ამოცანები ერთად შეადგენენ ეროვნული პარკის ფუნქციურ მოდელს. ბოლო ხანებში საქართველოს ეროვნულმა პარკებმა ამ დამატებითი ფუნქციების აქტიურად შესრულება დაიწყეს. ნელ-ნელა საზოგადოებისთვის ნათელი გახდა, რომ ეროვნული პარკები წარმოადგენენ არა შემოღობილ და ყველასთვის აკრძალულ სივრცეს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია სხვა მიზნებისთვისაც.

დროთა განმავლობაში, ეროვნული პარკების შექმნა, როგორც ინსტიტუტი მომწიფდა, წინ წამოვიდა ღირებულების სხვადასხვა იდეა და ზოგიერთმა მათგანმა განაპირობა ლანდშაფტსა და მენეჯმენტში გრძელვადიანი ცვლილებები და მიწის გამოყენების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტები. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გავლენა დადებითია თუ უარყოფითი. აღნიშნული ფაქტები ძალიან სუბიექტური და სიტუაციურია. ნაშრომში დეტალურად არის განხილული ეროვნული პარკების ტერიტორიის შერჩევის მექანიზმი, მისი საზღვრების დადგენა, ფუნქციონალური ზონების რეჟიმების დამკვიდრება და შესაბამისი გადაწვეტილების მომზადება, რომელიც მიზნად ისახავს მათ შექმნას.

მსოფლიოს მრავალი ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორია თავდაპირველად შეიქმნა, იმ მიზნით რათა ხალხს ადგილი ჰქონოდა ინსპირაციისთვის, დასვენებისა და სულიერი სიმშვიდისთვის. ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების სისტემები მასშტაბურად გაიზარდა და გაფართოვდა, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კი ასევე მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა პარკების ტერიტორიების დასადგენად.

იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა ვმართოთ ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები, საჭიროა არა მხოლოდ მათში შემავალი ბიოფიზიკური და

კულტურული ატრიბუტების სამეცნიერო ინვენტარიზაცია, არამედ მათი ფუნქციების და როლების მკაფიო რეალიზება იმ კონკრეტულ საზოგადოებაში, სადაც ისინი მდებარეობს. ტურიზმი, რომელიც უკავშირდება ეროვნულ პარკებში ვიზიტებს, წარმოადგენს ამ როლების არტიკულაციას, ცალკეული მოქალაქეების ვალდებულებას, ჩაერთონ პარკების აქტივობებში და დაიცვან ადგილობრივი ღირებულებები. ტურისტები ეწვევიან ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებს, რადგან ამ ტერიტორიებზე არის ფასეულობები, და მათ შეეძლებათ მიიღონ ესა თუ ის ცოდნა ან გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ ამ ადგილას. როლები, რომლებსაც პარკები ასრულებენ საზოგადოებაში და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი ტურიზმი, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, რომლებსაც ხშირად უკავშირებენ ეროვნულ იდენტობებზე ხაზის გასმას.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების მნიშვნელობა. განმარტებულია არქიტექტურის როლი ეროვნულ პარკებთან მიმართებაში, ვიზიტორთა სერვისებთან დაკავშირებული საჭიროებების განხილვა, საინტერესო და ბუნებასთან ორგანული არქიტექტურული ობიექტების შექმნა.

ნაშრომში საუბარია მდგრად დიზაინზე და მისი გამოყენების პრინციპებზე ეროვნულ პარკებში. მდგრადი და მგრძნობიარე დიზაინის პრინციპების გამოყენება ტურიზმის ობიექტებისა და აქტივობებისთვის მნიშვნელოვანი და მზარდი სფეროა. მათი გამოყენება სტიმულირებულია იმ მოსაზრებით, რომ პარკმა უნდა გამოიყენოს მაქსიმალურად საუკეთესო პრაქტიკა და უნდა იყოს სამაგალითო. ტურისტული ზეწოლა შეიძლება ძლიერი ძალა იყოს პარკის სააგენტოების სტიმულირებისკენ, უკეთესი პრაქტიკის მისაღებად.

მნიშვნელოვანია, რომ დიზაინერებმა და მენეჯერებმა იმუშაონ, რათა შეინარჩუნონ კარგი ბალანსი გარემოს თვისებებსა და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას შორის, რაც ადამიანებს სთავაზობს სარგებელს და მიწების გამოყენების სხვადასხვა გზებს. მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის შესაძლებელი იყოს ბუნებით დატკბობა, მაგრამ ამავდროულად შეიგრძნონ ბუნება. მნიშვნელოვანია რომ რეკრეაციული საქმიანობები იყოს მდგრადი. წარსულმა ჩარევამ, როგორიცაა არასწორი დიზაინი და მიწებისა თუ ადამიანების მენეჯმენტის ნაკლებობა, ბევრი ადგილის განსაკუთრებული თვისებები დააზიანა. ჩვენ უნდა ვეცადოთ გამოვასწოროთ ეს ზიანი და შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა პარკებში, რაც საშუალებას მისცემს ბუნებას და არა ადამიანებს, იყოს დომინანტური და მოახდინოს გავლენა იმაზე, თუ როგორი იქნება ყველაფერი საბოლოოდ.

დისერტაციაში წამოჭრილი პრობელემები და კვლევები ქმნიან რეალურ გამოწვევებს არქიტექტორებისთვის და დიზაინერისთვის. მთავარი გზავნილია ის, რომ გარემო განსაკუთრებულ თვისებებს და სარგებელს აძლევს ადამიანებს,

რომლებიც განვითარდა და აღიარებულია გასული ორნახევარი საუკუნის განმავლობაში. დღევანდელ მოთხოვნებს ასევე შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ გარკვეულ ლანდშაფტებზე, ჰაბიტატებსა და ველურ ბუნებაზე.

ვიმედოვნებთ რომ დიზაინს მიენიჭება თავისი კანონიერი ადგილი და დაეხმარება ვიზიტორებს მიიღონ სასიამოვნო გამოცდილება დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას.

ამ ნაშრომის მომზადება რამოდნიმე მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ და მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბუნების შესახებ, მეორეს მხრივ გავცეთ სწორი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო მითითებები, იმ დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში სადაც შესაძლებელია ვიზიტების, დასვენების, ტურიზმის ორგანიზება, რეკრეაციული საქმიანობის განვითარება, ტერიტორიის მიმზიდველობის კიდევ უფრო გაზრდა და ბოლოს ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული დისერტაციის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი გახდება საქართველოს ეროვნული პარკების ვიზიტორი და მხარდამჭერი.

Development of architectural and urban planning issues in the creation of a national park system

Resume

The main function of protected areas, in particular national parks, is to protect the country's natural heritage. As a rule, they have many other functions - the preservation of cultural and historical heritage, the supply of clean water and air, the development of science, the promotion of tourism, environmental protection functions, which include the development of issues such as environmental methods, popularization of the country at the international level, etc.

Together, these tasks form the functional model of a national park. Recently, Georgian national parks have started to actively perform these additional functions. It has gradually become clear to the public that national parks are not a fenced and restricted area, but can be used for other purposes as well.

Over time, the creation of national parks as the institution matured has given rise to different ideas of value, and some of them have led to long-term changes in landscape and management and various possible land use options. It is important to determine whether the impact is positive or negative. These facts are very subjective and situational. The paper discusses in detail the mechanism for selecting the territory of national parks, its demarcation, the establishment of functional zone regimes and the preparation of relevant decisions aimed at their creation.

Many of the world's national parks and protected areas were originally created to provide people with a place for inspiration, relaxation and spiritual peace. Systems of national parks and protected areas have grown and expanded, and the protection of biodiversity and cultural heritage has also become an important basis for identifying park areas.

Knowledge of how to manage national parks and protected areas requires not only a scientific inventory of their biophysical and cultural attributes, but also a clear realization of their functions and roles in the particular community in which they are located. Tourism, related to visits to national parks, is an articulation of these roles, an obligation of individual citizens to engage in park activities, and to uphold local values. Tourists will visit national parks and protected areas because there are values in these areas, and they will be able to get this or that knowledge or experience only and only in this place. The roles that parks play in society and tourism in close connection with them play important functions that are often associated with emphasizing national identities.

The dissertation discusses the importance of protected areas and national parks. The role of architecture in relation to national parks is explained, the needs related to visitor services are discussed, interesting and organic architectural objects are created with nature.

This work discusses sustainable design and the principles of its use in national parks. Applying the principles of sustainable and sustainable design is an important and growing area for tourism facilities and activities. Their use is stimulated by the idea that the park should use the best practices possible and should be exemplary. Tourist pressure can be a powerful force to stimulate park agencies to get better practices.

It is important that designers and managers work to maintain a good balance between the properties of the environment and their particular importance, offering people benefits and different ways of using land. It is important for people to be able to enjoy nature, but at the same time feel nature. It is important that recreational activities are sustainable. Past interventions, such as poor design and lack of land or people management, have damaged the special features of many places. We must try to repair this damage and create a sensitive design of features and objects that will allow nature, not humans, to be dominant and influence what everything will look like at the end.

The problems and research raised in the dissertation create real challenges for architects and designers. The main message is that the environment gives special qualities and benefits to people who have developed and been recognized over the past two and a half centuries. Current requirements can also adversely affect certain landscapes, habitats and wildlife.

We hope the design will be given its rightful place and will help visitors get a pleasant experience while traveling in protected areas.

The preparation of this paper serves several purposes. First of all, we want to inform the public about the unique nature of our country, on the other hand, to give the right recommendations and guidelines for protected areas where it is possible to organize visits, recreation, tourism, recreational activities, increase the attractiveness of the area and finally hope That after this dissertation even more people will become visitors and supporters of Georgian national parks.

შესავალი

მსოფლიოს გარშემო ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ძირითადი საქმიანობა ბუნების დაცვაა. ბევრი მათგანი ყურადღებას ამახვილებს სპეციალურად დაცული ტერიტორიების რეგიონალური სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე ღირებული, ბუნებრივი ადგილების კონსერვაციას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების საჭირო დონის შენარჩუნებას რეგიონში. ხშირად მუშაობის პროცესში აუცილებელი ხდება განსაკუთრებული ღირებულებების მქონე ტერიტორიებს მიეცეთ უფრო მაღალი, დაცული ტერიტორიის სტატუსი. ისეთი ტიპის დაცული ტერიტორია როგორიც ეროვნული პარკებია განსაკუთრებით პოპულარულია რეგიონალურ დონეზე. ეს გასაგებია რადგან ეროვნული პარკები შეიძლება საუკეთესოდ ინტეგრირებულ იქნას სპეციალურად დაცული ტერიტორიების რეგიონალურ სისტემაში. ამასთან, მათი ოპტიმალური განვითარებით, გარემოს დაცვის გარდა რეგიონის სოციალურ-ეკონომკურ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც შეიძლება მოგვარდეს.

თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა დაცულ ტერიტორიებზე დამატებით მოთხოვნებს აწესებს, ხოლო ეროვნული პარკებისთვის, რომელიც ფუნქციების მაქსიმალურ რაოდენობას ასრულებენ ეს მოთხოვნები სავარაუდოდ ყველაზე მაღალია.

მსოფლიოს მრავალი ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორია თავდაპირველად შეიქმნა, იმ მიზნით რათა ხალხს ადგილი ჰქონოდა ინსპირაციისთვის, დასვენებისა და სულიერი სიმშვიდისთვის. ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების სისტემები მასშტაბურად გაიზარდა და გაფართოვდა, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ასევე მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა პარკების ტერიტორიების დასადგენად. როლები, რომლებსაც პარკები ასრულებენ საზოგადოებაში და

მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი ტურიზმი, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, რომლებიც ხშირად უკავშირდება ეროვნულ იდენტობებზე ხაზის გასმას.

ამრიგად, ტურიზმი ემსახურება მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს, ისევე როგორც პარკები და დაცული ტერიტორიები. ტურიზმის მენეჯმენტი ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე დაფუძნებულია იმის საფუძველზე, თუ რა ფუნქციებს ასრულებს ის.

ნაშრომში განხილულია მდგრადი დიზაინის პრინციპები ეროვნულ პარკებში. თუ როგორ უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა დაცულ ტერიტორიებზე. მოყვანილია სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები.

მდგრადი დიზაინის ძირითადი კომპონენტებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, კულტურული მთლიანობის მხარდაჭერა, ჰაერის, წყლის და ნიადაგების ჯანმრთელობის დაცვა, ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების ამსახველი, მინიმალური უარყოფითი გავლენის წარმოება, მინიმალური რესურსების გამოყენება, პასუხისმგებლობის დაწესება და ვიზიტორის უსაფრთხოება თითოეული ეს კომპონენტი უნდა იქნას გათვალისწინებული პარკის ყველა ასპექტის დიზაინის შემუშავებისას და ექსპლუატაციის მიღების დროს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარკის შენობებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ფორმებისთვის.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობა შეიძლება კონცენტრირებულ იქნას შემდეგ პოზიციებზე:

1. არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საკითხების შემუშავებისას, გარემოსდაცვითი პრობლემების ფუნდამენტური შესწავლა

2. რეკრეაციულ არქიტექტურაში ახალი მიმართულების ფორმირება, ეროვნული პარკის ურბანული დაგეგმვის ორგანიზაციის ფარგლებში წარმოქმნილი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა და შედეგების განსჯა.
3. რეკრეაციული ტერიტორიების პროექტირებაში სწორი მიმართულება. მათი ურბანული სტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს კონკრეტული არქიტექტურული ობიექტების შემუშავებას, რომლებიც მაქსიმალურად არიან ადაპტირებული ბუნებრივ გარემოსთან.

საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითადი საკითხები

კვლევის მიზანია ეროვნული პარკების სივრცითი და ურბანული მოდელის შექმნა ბუნების დაცვის და რეკრეაციული არქიტექტურის ურთიერთქმედების პრინციპების საფუძველზე. სარეკრეაციო ცენტრის ორგანიზება დაგეგმვის ელემენტები ეროვნული პარკის გენერალური გეგმის მოდელის შექმნა. კვლევის მიზნების განსაზღვრა მოიცავს არამ ხოლოდ გეგმარების საკითხებს, არამედ არქიტექტურის სივრცით ასპექტებს.

კვლევის მეთოდი ემყარება ფუნქციონირების პრინციპების შესწავლას, უცხო და ადგილობრივი ეროვნული პარკების გამოცდილების შეჯამებას, ლიტერატურული წყაროების, მარეგულირებელი დოკუმენტების და საველე კვლევების შედეგად.

ეროვნული პარკების შექმნის დროს მიღებულმა მსოფლიო გამოცდილებამ სამი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოყო:

1) ეროვნული პარკების შექმნა სპეციალურად ტურიზმისთვის და დასვენებისთვის. სწორედ ეს იყო ჩრდილოეთ ამერიკაში დაცული

ტერიტორიების შექმნის საფუძველი (მაგ: Yellowstone national park, Baniff national park)

2) ეროვნული პარკის სტატუსის მინიჭება იმ ტერიტორიაზე, სადაც უკვე გაიარა ტურისტულმა მარშრუტებმა. ამ ტერიტორიაზე პარკის მოწყობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს უნიკალური ბუნება, რაც მოითხოვს სპეციალურ გარემოსდაცვით ზომებს. ეს ტენდენცია ტიპიურია ევროპის ეროვნული პარკებისთვის (მაგ: ბავარიის ტყის ეროვნული პარკის მაგალითი, რომელიც მდებაორებს ორი სახელმწიფოს საზღვარზე- გერმანიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის საზღვარზე)
3) დაცული ტერიტორიის ორგანიზება მხოლოდ სამეცნიერო და ეკოლოგიური მიზნებისთვის და შემდგომში ეროვნული პარკის ტერიტორიის მომზადება ვიზიტორების მისაღებად.

ეკოტურიზმის კონცეფცია უკავშირდება ტურიზმის განვითარებას ეროვნული პარკებში. ჩვენი აზრით ყველაზე ზუსტია ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა განმარტება: „ეკოტურიზმი მიზანმიმართული მოგზაურობაა ბუნებრივ ადგილებში, რათა უკეთ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას და ბუნებრივ გარემოს, რომლებიც არ დაარღვევენ ეკოსისტემის მთლიანობას, ხოლო ბუნებრივი რესურსების დაცვა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასარგებლო იქნება“.

კვლევის მეთოდები

დასმული ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1. ისტორიული, ლიტერატურული და საპროექტო წყაროების მიმოხილვის საფუძველზე ეროვნული პარკების შესახებ სამამულო და მსოფლიო გამოცდილების შესწავლა;
2. გამოკითხის ჩატარება (მონაცემთა ინფორმაციის შეგროვება) დოკუმენტაციის შესწავლა. გასაუბრება.

3. რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომზე მუშაობის დროს ჩამოყალიბებულ იქნება შემდეგი დებულებები:

1. კონკრეტული ტერიტორიის, ეროვნული პარკის ქსელის მართვის სისტემა უნდა ემყარებოდეს უშუალოდ ბუნებას;
2. ეროვნული პარკების მართვის ეფექტურობა უნდა განხორციელდეს სქემის საფუძველზე, რომელიც ასახავს შემდეგ ასპექტებს.
   - ✓ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მიდგომა
   - ✓ ეროვნული პარკების გარე და შიდა ტერიტორიის ფაქტორები
   - ✓ ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა და მნიშვნელობა
3. ეროვნული პარკების მეცნიერულად გამართული მენეჯმენტი, როგორც ტერიტორიის მდგრადი განვითარების კომპონენტები, უნდა ემყარებოდეს დაცული ტერიტორიების გარემოს, ძლიერი და სუსტი ფაქტორების გათვალისწინებით, მათ ურთიერთქმედებაში გარემოში ხელსაყრელ პირობებთან.

ნაშრომის მიზანია ტერიტორიების მეცნიერულ დონეზე ორგანიზება. მიზნის მისაღწევად, თანმიმდევრულად იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

1. შევისწავლოთ უცხო და ადგლობრივი ეროვნული პარკების მენეჯმენტისა და ტერიტორიული ორგანიზების მიდგომები;
2. ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და კულტურული მიზნები;
3. ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ პარკებში. პარკებზე დაფუძნებული ტურიზმის სოციალური როლები;
4. მდგრადი დიზაინი ტურიზმის ინფრასტრუქტურისთვის და პროგრამებისთვის;
5. ეროვნული პარკების ტერიტორიის ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი და გეოგრაფიული ანალიზი. ტერიტორიული სტრუქტურის

ოპტიმიზაციის და განვითარების პერსპექტივა ტერიტორიების იდენტიფიცირების საშუალებით;

კვლევის მოსალოდნელი შედეგები:

ნაშრომში შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, როგორც არსებული ეროვნული პარკების შემთხვევაში, ისე ახალის შექმნისას, წარმოადგენს კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას.

1. განსაზღვრული იქნება ეროვნული პარკების ფუნქიონალური ზონირების მეთოდოლოგია, მათი მიზნები და ამოცანები. ზონირების ეფექტურობის შეფასება.
2. პრინციპები და ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული პარკებისთვის. მასალების მომზადება რომელიც წარმოადგენს ეროვნული პარკების შექმნის წინა პირობას.
3. არქიტექტურული სტილის განსაზღვრა ეროვნულ პარკებში. რუსტიკული ატქიტექტურა. პარქიტექტურა როგორც ცალკე მდგომი არქიტექტურული სტილი ეროვნულ პარკებში.
4. რეკრეაციული საქმიანობა ეროვნულ პარკებში. რეკრეაციული ტერიტორიის გამოყენების ანალიზი.
5. არქიტექტურის როლი ეროვნულ პარკებში ინფრასტრუქტურის შექმნისას.
6. ეროვნული პარკების ფორმირების ისტორია. განვითარების ეტაპის მახასიათებლები.
7. ეროვნული პარკების როლი რეგიონის მდგრად განვითარებაში. დასვენებისა და ეკოლოგიური ტურიზმის სახეები.
8. უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

9. რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა ადმინისტრაციული რაიონების საზღვრების ფარგლებში.
10. ეროვნულ პარკში ტურისტების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობები, რაც გაზრდის ეროვნული პარკის მხარდაჭერას და ადგილობრივი მოსახლეობის პოტენციალს, მიიღონ შემოსავალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებით.

ეროვნული პარკების დაგეგმარება შეიძლება მათი პრაქტიკული განხორციელების დროს უფრო სიღრმისეული მიმართულებით განვითარდეს. ეს მიმართულება მოიცავს გარემოსდაცვითი ვითარების ფართოდ შესწავლას და მუდმივ მონიტორინგს ეკოლოგიური სიტუაციებისთვის, რათა შეინარჩუნოს ბუნებრივი გარემო სხვადასხვა ტიპის სახეობის და ფორმის დასვენებისთვის. შემოთავაზებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სფეროებშიც, რაც პირველ რიგში მოითხოვს ხელოვნურ და ბუნებრივ ჰარმონიზაციას.

ყოველი ეროვნული პარკის დიდი ნაწილი ის მკაცრად დაცული რეგიონია, სადაც ადამიანმა უკან უნდა დაიხიოს, უარი თქვას ბუნების ხელყოფაზე და მას საკუთარი კანონების მიხედვით განვითარება დაანებოს. აქ ადამიანი მხოლოდ იმ მიზნით უნდა მოდიოდეს, რათა იხილოს პირველყოფილი ბუნება, დატკბეს მისი განუმეორებელი ხიბლით და იკვლიოს იგი. ყოველ ეროვნულ პარკს გააჩნია ჰარმონიული კულტურული ლანდშაფტის ვრცელი ზონა, სადაც სახლობს და მეურნეობას ეწევა ადამიანი, მაგრამ მის საქმიანობას ყანაში, ტყეში, სათიბში ზიანი არ უნდა მოჰქონდეს ბუნებისათვის. იმავე ზონაში დაბინავდებიან ტურისტები და ამდენად, დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისა და საკვები პროდუქტების წარმოება. ეს ის ტერიტორიებია, სადაც ჩვენი საქმიანობა მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული. ასეთ ჰარმონიულ, ლამაზ და მრავალფეროვან ლანდშაფტებს სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭებათ ტურიზმის განვითარების საქმეში, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია

მათი ზერელე, სპეკულაციური გამოყენება, ვინაიდან ამ ტერიტორიებზე განლაგებულია უამრავი კულტურის ძეგლი, სოფლები, ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურებით, რომელთა შენარჩუნებაც აუცილებელია.

კვლევის შედეგების აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომის სათაურია **„არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების საკითხების შემუშავება ეროვნული პარკების სისტემის ჩამოყალიბებაში“**

სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების სია:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი **„არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; ნ. ხვედელიანი; ა.რატიანი-** ეროვნული პარკების არქიტექტურა და დიზაინი. მათი როლი და ადგილი ქვეყნების ისტორიაში 2020წ, №13, გვ.138
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ჟურნალი **„მშენებლობა“- ნ. ხვედელიანი; ა. რატიანი** - პარკიტექტურა როგორც ეროვნული პარკების არქიტექტურული სტილი 2020წ, №1(54) გვ.77
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი **„არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ; ა. რატიანი-** დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების როლი რეგიონალურ დონეზე (საქართველოს მაგალითზე) 2021წ, №14,15, გვ.118
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის, მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო-სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებული **„მოამბე“- ნ.**

ხვედელიანი; ა. რატიანი - ეკოტურიზმი - მდგრადი ტურიზმი ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე 2021წ, №1(45), გვ142

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული; **ნ. ხვედელიანი; ა. რატიანი-** საქართველოს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და კულტურული მიზნები 2022წ, №1(523), გვ.22

სამეცნიერო კონფერენციის მასალები:

1. **ნ. ხვედელიანი; ა.რატიანი- „ეროვნული პარკების არქიტექტურა და დიზაინი. მათი როლი და ადგილი ქვეყნების ისტორიაში“** - საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია კოვიდ–19, გამოწვევები არქიტექტურაში (2020 წლის 15 ივნისი)
2. **ნ. ხვედელიანი; ა. რატიანი- „ეროვნული პარკების როლი რეგიონის მდგრად განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე)“** - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია (2020 წლის 21 დეკემბერი)

კოლოქვიუმები და სემინარები:

კოლოქვიუმი 1- ეროვნული პარკები, მათი ჩამოყალიბების ისტორია და განვითარების თანამედროვე გამოწვევები

კოლოქვიუმი 2- მდგრადი დიზაინის პრინციპები და მეთოდები ეროვნულ პარკებში არსებული ინფრასტრუქტურისთვის

კოლოქვიუმი 3- საქართველოს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემა

თემატური სემინარი 1- რკინიგზის სადგურები როგორც საზოგადოებრივი სივრცე

თემატური სემინარი 2- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის ისტორიისათვის

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი არის 130 გვერდიანი, მასში არის 53 ფოტო, და 5 ცხრილი. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება რეზიუმეს, შესავლის, 5 თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის, ილუსტრაციების და ცხრილების ჩამონათვალისგან.

შესავალში განვიხილეთ საკვლევი თემის აქტუალობა, საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითადი საკითხები. კვლევის მეთოდები, ნაშრომის მიზანი, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შედეგების აპრობაცია.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია: ეროვნული პარკის ფუნქციონალური მოდელის შეფასება. დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მიზნები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. განხიულია საზღვარგარეთის მიდგომები ეროვნული პარკების როლთან მიმართებაში.

აღნიშნულ თავში განხილულია ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული პარკებისთვის. წამოჭრილია პრობლემატიკა და ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები მომავალი ეროვნული პარკების ზოგადი შეფასებისთვის. წარმომდგენილია მასალები, რომლებიც წარმოადგენს ეროვნული პარკების შექმნის წინაპირობას.

პირველი თავის დასკვნა

- ეროვნული პარკები არის ისეთი ტიპის დაცული ტერიტორია, რომელიც ადამიანებმა შესაძლოა გამოიყენონ გარკვეული მიზნებით;

- ეროვნულ პარკებს გააჩნიათ მრავალფეროვანი და განსაკუთრებული შესაძლებლობები, რათა განავითარონ ტურიზმი მოცემულ ტერიტორიებზე;
- მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ პარკებში ბუნების დაცვა და ადგილობირივი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ზედმიწევნით და მაქსიმალურად თანაბრად დაიხვეწოს, რადგან ეს ორი ძირითადი ფუნქცია ერთმანეთთან მჭირდო კავშირშია. ამას ადასტურებს საზღვარგარეთიდან მიღებული არაერთი გამოცდილება;
- განხილულია ეროვნული პარკის სირცითი სტრუქტურის მოდელის შექმნის ძირითადი წინაპირობები. საჭიროა ტერიტორიას ჩაუტარდეს ანალიზი სხვადასხვა მიმართულებებით, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ტერიტორიის როგორც ეკონომიკური პოტენციალი, ასევე ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების ხარისხი;
- ეროვნულ პარკებს უდიდესი როლი აქვთ არამხოლოდ რეგიონალურ დონეზე, არამედ ქვეყნის და ზოგჯერ მსოფლიო მასშტაბითაც, ამიტომ მომავალი ეროვნული პარკების შექმნისას საჭიროა შეგროვდეს მთელი რიგი მონაცემები და მასალები, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის ღირებულებას;
- ყურადღება გამახვილებულია შემეცნებით ღირებულებებზე. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ტერიტორიაზე გვხდებოდეს ისტორიულ-კულტურული ობიექტები, რომელიც მოიზიდავს ვიზიტორთა ახალ კონტიგენტს;

დისერტაციის მეორე თავში განხილულია: ეროვნულ პარკებზე დაფუძნებული ტურიზმის სოციალური და კულტურული როლები. ტურიზმის ძირითადი მიზნები და შედეგები. საუბარია პარკებში არსებული ტურიზმის დადებით და უარყოფით მხარეებზე. სწორი დაგეგმვის, გამართული დიზაინის და

მენეჯმენტის საჭიროებებზე. დეტალურად არის საუბარი ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების დაგეგმვის პრინციპებზე.

აღნიშნულ თავში განხილულია ეკოტურიზმი, როგორც ტურიზმის განვითარების მდგრადი ფორმა ეროვნულ პარკებში. კვლევის მიხედვით განხილულია ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ეროვნულ პარკებში და დაცულ ტერიტორიებზე. საუბარია ტურიზმის როლეზე საზოგადოებაში, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე პარკების მიღმა ტერიტორიებზე, მოყვანილია საზღვარგარეთის მაგალითები.

მეორე თავის დასკვნა

- ტურიზმს ეროვნულ პარკებში შეუძლია მრავალფეროვანი სოციალური სარგებლის მოტანა ადგილობრივებისათვის;
- კვლევის მიხედვით ეროვნულ პარკებში არსებული ტურიზმი უნდა იყოს მართული და კოტროლირებადი, რათა თავიდან ავიცილოთ სერიოზული და შეუქცევადი გარემოსდაცვითი პრობლემები;
- აღნიშნულ თავში განხივილეთ პრინციპები ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების დაგეგმვისთვის. პრიცნიპები ემსახურება ეროვნული პარკების მომავლის შეცვლას სასურველი მიზნისკენ. სწორ მენეჯმენტში აშკარად ჩანს, დაგეგმარების პროცესში მონაწილე პირთად ღირებულებები;
- განვიხილეთ ეკოტურიზმის მნიშვნელობა ეროვნულ პარკებში. იქიდან გამომდინარე, რომ ეკოტურიზმი ყველაზე სწაფად განვითარებადი ტურიზმის სახეობაა, ეროვნული პარკები კი იდეალური ადგილი მათ განსავითარებლად, საჭიროა მონიტორინგი ვიზიტორების რაოდენობასა და მათ საქმიანობაზე;

- ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის როლზე საზოგადეობაში, იმ ფასეულობებზე და ღირებულელებზე, რომელიც ანვითარებს საზოგადოების თვითშეფასებას;
- კვლევის მიხედვით ეროვნული პარკები გვთავაზობენ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს, ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს პარკებში განვითარებული ტურიზმით;
- განვიხილეთ ის გეგმები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს, ეროვნული პარკების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. ადგილობრივი ტურიზმის განვითარება ქმნის შესაძლებლობებს და სერვისებს, რომლით სარგებლობაც ადგილობრივებსაც შეეძლებათ;

დისერტაციის მესამე თავში განხილულია: მდგრადი და ეკოლოგიურად მგრძნობიარე დიზაინის სტანდრატები და სახელმძღვანელო მითითებები. მოყვანილია მდგრადი დიზანის ძირითადი კომპონენტები. ხაზგასმულია სწორი დიზაინის მნიშვნელობა ეროვნულ პარკებში. მოყვანილია ურთიერთ საპირისპირო არგუმენტები დაცულ ტერიტორიებზე შენობების განსათავსების თაობაზე. დაწვრილებით არის განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დასმულია პრობლემატიკა ტრანსპორტირებისა ინფრასტრუქტურის საჭიროებებზე ეროვნულ პარკებში. მოყვანილია განვითარებისთვის საჭირო შეთავაზებები. განხილულია იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება დაისვას ეროვნულ პარკებში ტურიზმთან დაკავშირებული განვითარების შესახებ.

საუბარია ეროვნულ პარკებში ტურიზმის მომსახურებასა და საჭირო ინფრასტრუქტურაზე. ასევე პარკებში არსებული ობიექტების ფუნქციებზე და

მათ მნიშვნელობაზე. უშუალოდ ინფრასტუქტურის გაველნაზე ეკოლოგიურ, კულტურულ და ფინანსურ ჭრილში.

მესამე თავის დასკვნა

- მდგრადი დიზაინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რომს თამაშობს ეროვნული პარკების ინფრასტრუქტურის მოწყობის დროს;
- ეროვნული პარკების დიზაინის ყველა დეტალი უნდა შეფასდეს, იმის მიხედვით, თუ რამდენად ზემოქმედებს აღნიშნული ცვლილებები გარემოზე;
- მნიშვნელოვანია, რომ დიზაინის პროექტირებისას დავიცვათ ყველა მოყვანილი სახელმძღვანელო მითითებები;
- კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ეროვნული პარკების ტერიტორიაზე საჭიროა განთავსდეს გარკვეული ტიპის მომსახურების ობიექტები. კველვაში ამ ფაქტზე გამოიკვეთა დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ საჭიროა დაცულ ტერიტორიებს ჰქონდეთ საკუთარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რათა ტერიტორიაზე წვდომა იყოს მეტად მარტივი და უსაფრთხო;
- საჭიროა დადგინდეს თითოეული შემოთავაზებული ობიექტის გავლენა გარემოზე;
- გამოიკვეთა ეროვნულ პარკებში საჭირო ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დონეები;
- ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურას სერიოზული გავლენა აქვს ეკოლოგიაზე და ასევე კულტურაზე;

დისერტაციის მეოთხე თავში განხილულია: ეროვნული პარკების შექმნის ისტორია როგორც აშშ-სა და ევროპაში ასევე საბჭოთა კავშირში და შემდეგ უკვე საქართველოში.

თავის მიზანია ეროვნულ პარკებში არსებული არქიტექტურული სტილის მიმოხილვა. განხილულია სტილის პრინციპები და მისი შექმნის იდეა, თუ რა მიზანი აქვს აღნიშნული სტილის განვითარებას ეროვნულ პარკებში. საბოლოო მიზანი კი არის ეროვნულ პარკებში, ბუნებასთან და გარემოსთან ახლოს მყოფი, მიმზიდველი არქიტექტურის შექმნა და მათი განვითარება. მოყვანილია მაგალითები.

მეოთხე თავის დასკვნა

- განხივილეთ ეროვნული პარკების შექმნის და ჩამოყალიბების ისტორიები და ტენდენციები სხვადასხვა ქვეყნებში. თითოეულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეროვნული პარკები მოითხოვს ბალანსს ადამიანსა და ბუნებას შორის;
- კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული პარკებისთვის ორგანული არქიტექტურა და დიზაინი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმ მთელი რიგი პრინციპების დაცვა, რომელსაც ეს სტილი გვთავაზობს;

დისერტაციის მეხუთე თავში განხილულია: საქართველოს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების განვითარების ეტაპები. საუბარია ამ ეტაპზე არსებულ პრობლემატიკებზე, გამოწვევებზე და აქტუალურ საკითხებზე, სწორად დაგეგმილი დიზაინის და განვითარებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელობაზე საქართველოს ეროვნულ პარკებში. კვლევების მიხედვით გამოყოფილია პრინციპები, რომელიც მოიცავს ეროვნულ პარკებში დიზაინის შექმნისას აუცილებელ მოთხოვნებს. განხულულია მდგრადი დიზაინის განვითარების შესაძლებლობები. მოყვანილია საზღვარგარეთის პრაქტიკები.

საუბარია საქართველოს დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების როლზე, რეგიონალურ დონეზე, მასპინძელ საზოგადოებაში ცხოვრების

ხარისხის გაუმჯობესებაზე. დასმულია მნიშვნელოვანი საკითხები ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მიმართულებით, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

აღნიშნულ თავში განხილულია მიდგომები და სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ დავიცვათ და ამასთანავე გამოვიყენოთ მემკვიდრეობის ძეგლები დაცულ ტერიტორიებზე, ტურისტული თვალსაზრისით. ასევე მოყვანილია საზღვარგარეთის მაგალითები.

თავის მიზანია საქართველოს ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და მათი შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ობიექტები, საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილებს წარმოადგენს.

მეხუთე თავის დასკვნა

- საქართველოში ბუნებრივი დაცული ტერიტორიების ისტორია საუკუნეების წინ დაიწყო და დრო და დრო ვითარდებოდა;
- ეროვნული პარკების გამართული ინფრასტრუქტურა ხელს უწობს ვიზიტორების გააქტიურებას და მათტან დაკავშირებული სერვისების მართვას;
- კტირიკულად მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება დაეთმოს ვიზიტორებს, მათ ქცევებსა და განწყობებს;
- აღნიშნულ თავში ხაზგასმულია სწორად შექმნილი ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა. მსგავსი ტიპის ტერიტორიები მოითხოვს მარტივ და დროულ გადაწყვეტილებებს;
- საჭიროა, რომ საქართველოს ეროვნულმა პარკებმა გაიზიარონ მდგრადი დიზაინის მიდგომები და პრინციპები. ასევე უპასუხონ აღნიშნულ თავში მოყვანილ გამოწვევებს;

- ეროვნული პარკების შექმნა და მათი განვითარება გამოყოფს სოციალურ სარგებელს;
- ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეროვნული პარკების კულტურულ მიზნებზე. მნიშველოვანია, რომ კულტურული მემკვიდრეობა სრულყოფილად იყოს იდენტიფიცირებული;

დისერტაციაში კვლევის და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა შემაჯამებელი დასკვნების სახით:

- იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული პარკები ითავსებენ სხვა და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკრეაციულ საქმიანობებთან ერთად, კონსერვაციის მეთოდების შემუშავება, რათა შევინარჩუნოთ გარემო და ბუნება;
- კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი იყოს ეროვნული პარკის ფუნქიური მოდელი, რათა შემდეგ შევძლოთ ტერიტორიის სწორი ფუნქციონალური ზონირება. ამ ყველაფრის ანალიზი გავლენას ახდენს ეროვნული პარკის ფუნქციების დაგეგმვასა და შემდგომში მათ განვითარებაზე;
- ეროვნული პარკების შექმნისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ტერიტორიის თვისებრივ მახასიათებლებზე. უნდა დადგინდეს ტერიტორიის ღირებულება ეკოლოგიური, შემეცნებითი და რეკრეაციული თვალსაზრისით;
- ერთ-ერთი უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული პარკების საზღვრების დადგენა, რადგან მას აქვს უდიდესი გავლენა ტერიტორიის ეფექტურობაზე, მის გამოყენებაზე და განსაზღვრავს ურთიერთობას ახლომდებარე ტერიტორიებთან მიმართებაში;

- ეროვნული პარკების განვითარებას მოაქვს სხვადასხვა ტიპის სოციალური სარგებელი ახლომდებარე საზოგადოებისათვის. ტერიტორიები ხდება ერთ ერთი წყარო დასაქმებისა და შემოსავლის გამომუშავების;
- იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულ პარკებში არსებულ ტურიზმს სარგებელთან ერთად უაროყიფითი გავლენის წარმოებაც შეუძლია, მნისვნელოვანია რომ პარკებში არსებული ტურიზმი იყოს კონტროლირებადი;
- თუ პარკის ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად არ იქნება გამართული სასურველია, რომ ტერიტორიაზე არ იყოს დაშვებული ტურიზმი;
- დაცული ტერიტორიების დაგეგმვის დროს გასააზრებელია არა მხოლოდ ღირებულებები და ფასეულობები, არამედ მათი როლი ადგილობრივ საზოგადოებაში;
- მნიშვნელოვანია რომ დაცულ ტერიტორიებზე მაქსიმალურად იყოს განვითარებული მომსახურების სფეროები, რათა ეკოტურისტებმა შეძლონ მაქსიმალურად აითვისონ გარემო;
- საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ველური ბუნების მნიშვნელობაზე, მის ხელშეუხებლობაზე ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ კონსერვაციაზე;
- მნიშვნელოვანია მდგრადი დიზაინის ყველა ასპლექტის დემონსტრირება დაცულ ტერიტორიებზე;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ეროვნულ პარკებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ნაწილია;
- ეროვნულ პარკებში არსებული არქიტექტურა მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ბუნებასთან. თითოული ობიექტი მისი კონსტრუქციებით და დიზაინით შესაბამისობაში უნდა იყოს გარემოსთან;
- კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ პარკებში ვიზიტორთა გადაადგილება რეგულირდებოდეს რაციონალური ზონირების გზით;

- საჭიროა, რომ საქართველოს ეროვნულმა პარკებმა უპასუხონ მდგრადი დიზაინის მიდგომებს და პრინციპებს;
- ეროვნულმა პარკებმა უნდა განავითარონ რეგიონების სოცლიალურ-ეკონომიკური სისტემა. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გზა საქართველოში, რათა ეროვნული პარკების სისტემამ განაგრძოს მდგრადი განვითარება;

ლიტერატურული წყაროები:

1. https://www.iucn.org/
2. https://www.booksite.ru/fulltext/rusles/nazion/1.htm?fbclid=IwAR3stAu7HiVlSkjrZ8mxGzllG42Fg3FFzUDhMugSF2TqS1mA3FTLKwmedzI
3. https://cyberleninka.ru/article/n/istoriko-kulturnoe-nasledie-v-zapovednikah-i-natsionalnyh-parkah-rossii?fbclid=IwAR3W6Ik_ahqkFNiIloV3COfBW14EGk6NHVYB0s3TZQfeZmpWWRtZxBy8gCA
4. https://www.biodiversity.ru/publications/books/popov/p2.html
5. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98
6. Paul F.J Eagles; Stephen F. McCool; Christopher D. Haynes- Sustainable tourism in Protected Areas- The world conversation union 2002 pp 1-74
7. Stephan Obenaus- Ecotourism- Sustainable Tourism in National Parks and Protected Areas – September 2005
8. Paul F.J Eagles; Stephen F. McCool; Elizabeth A. Halpenng; R. Neil Moisey- Tourism in National Parks and Protected Areas
9. William C. Tweed; Laura E. Soulliere; Henry G. Law- National Park Service Rustic Architecture: 1916-1942-February, 1977
10. კარლო მამნიაშვილი- თბილისის ეროვნული პარკი / საქ. სსრ სატყეო მეურნეობა -1985 pp 2-6
11. https://apa.gov.ge/ge/protected-areas
12. არჩილ ქიქოძე; რამაზ გოხელაშვილი; ია თაბაგარი; იაგო კაზალიკაშვილი; დავით ქიქოძე; ლექსო გავაშელიშვილი- საქართველოს დაცული ტერიტორიები- თბილისი 2007 pp 4-7
13. გ.გიგინეიშვილი; მ. ზუკოვი; რ.ქვაჩაკიძე; ჰ.კნაპი; პ.შმიდტი- საქართველოს ეროვნული პარკები- დედაბუნების გადარჩენის პერსპექტივა- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი 1991 pp 5-8
14. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=22

15. Steffen Schülein- green tourism in georgia pp 2-35
16. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
17. https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/daculi-teritoriebi-okupirebul-teritoriebze

გამოყენებული ილუსტრაციების წყაროები:

1. სურ.1,2,3,4,5 - ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სააგენტო
2. სურ.6,7,8, - ბორჯომ ხარაგაულის დაცული ტერიტორიების სააგენტო
3. სურ.10,11,12,13,14 - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სააგენტო
4. სურ.15,16,17, 18,19,20,26,27,28,31,32 https://nationalparks.ge/en/main
5. სურ.22,23,24 - https://kassland.com/
6. სურ.25 - https://www.facebook.com/tsalkacanyon
7. სურ.9,21- https://georgiantravelguide.com/ka
8. სურ.29,30, - დაცული ტერიტორიების სააგენტო
9. სურ.33- გ.გიგინეიშვილი; მ. ზუკოვი; რ.ქვაჩაკიძე; ჰ.კნაპი; პ.შმიდტი- საქართველოს ეროვნული პარკები- დედაბუნების გადარჩენის პერსპექტივა
10. სურ.34,35,36,37,38-https://archive.curbed.com/2017/8/2/16083766/best-national-park-hotels-architecture-parkitecture
11. სურ.39- https://noehill.com/or_klamath/nat1987001347.asp
12. სურ.40,41-https://quirkytravelguy.com/frank-lloyd-wright-rest-stop-rocky-mt-national-park-beaver-meadows/
13. სურ.42,43,44 - https://www.nps.gov/articles/marycolter.htm
14. სურ.45,46 https://info.aia.org/aiarchitect/thisweek08/0307/0307s_solar.htm
15. სურ.47,48,49,50,51-http://bestdesignideas.com/the-energy-efficient-building-in-the-national-park-giant-mountains-czech-republic
16. სურ.52- https://www.waymarking.com/waymarks/wm4ZN0_Solar_Panels_at_Point_Pelee
17. სურ.53 - https://apa.gov.ge/ge